ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი №4

დაბა ქედა 10 ნოემბერი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ზურაბ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
თემურ ავალიანი - კომისიის წევრი;
რამინ ბერიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

10.11.2020 წელი

№	**სახელი, გვარი**	**თანამდებობა**	**ხელმოწერა**
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	**ბადრი შავლიძე**	**კომისიის წევრი**	
3	**არჩილ გორგილაძე**	**კომისიის წევრი**	
4	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
5	**ზურაბ თავდგირიძე**	**კომისიის წევრი**	
6	**რამინ ბერძე**	**კომისიის წევრი**	
7	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ პეტიციის შესწავლის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ელექტრონული ფორმით წარმოდგენილია პეტიცია - დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ (შემოსული დოკუმენტი №97/04 15.10.2020 წ.), რომელიც განხილული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №01-07/14 ბიუროს სხდომაზე და ბიუროს გადაწყვეტილებით შესასწავლად გადაეცა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ სკითხთა კომისიას.

მომხსენებლმა განმარტა, რომ საკრებულოს კომისია პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე ან პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პეტიციის შესწავლა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენა, რომელზეც კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადება პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის შესახებ კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ შესწავლა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენა.

კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე